ოქმი:**ო63. 63251962**
თარიღი:**15/07/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 6

ქ. სამტრედია. 9 ივლისი, 2025 წელი.

2025 წლის 9 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, როლანდ ეცადეიშვილი, ალექსანდრე ალფაიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.

2. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

3. ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.

4. ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ბუღალტერი, თემურ გეგუჩაძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

6. ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.

7. შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს ხელმძღვანელი, მამუკა თავაძე.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, ნიკოლოზ სანაძე.

10. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ნატო ჯულაყიძე.

11. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში - თამილა კეკელიძე.

12. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბეჟან გოგია.

13. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, ნათია იობაძე.

14. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი - თეა ბაბუნაშვილი.

15. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ,,ვიდრე დავიწყებდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას, მინდა შევეხო ივნისის თვეში, ჩვენს მუნიციპალიტეტში მომხდარ სამწუხარო ფაქტს. გარდაიცვალა რამდენიმე ახალგაზრდა, აქედან ორი პატარა ანგელოზი. ძალიან რთულია ამ თემაზე საუბარი. მინდა კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო ოჯახს, მათ მშობლებს. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას. (საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით გამოხატეს სამძიმარი და გულისტკივილი გარდაცვლილთა ოჯახების მიმართ).

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 9 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის **9 ივლისის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის **9 ივლისის** სხდომის დღის წესრიგი:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის

   Nგ-63.632435911განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ.მელაშვილი/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ.მელაშვილი/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის

Nგ-63.632435921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ.მელაშვილი/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, ლ.კრავეიშვილი/

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N g-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, ლ.კრავეიშვილი/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.63243592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2025 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632435915 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

11. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

12. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

13. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

14. ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №g-63.63251058 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

15. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საჯავახოს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს Ng-63.63232194 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

16. **სხვადასხვა.**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 9 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Ng-63.632435911განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის*** წერილობითი N62-622518572 მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის** სახლი''-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. 2025 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 20.0 ათ.ლარით. ხარჯებში საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 20.0 ათ.ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია წლის მანძილზე დამატებით ღონისძიებათა ჩასატარებლად. კერძოდ, 10.0 ათ.ლარი - ზაფხულის პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის დაგეგმილი კონცერტისთვის,

სცენისა და აპარატურის დასაქირავებლად. 10.0 ათ.ლარი - წმინდა ნაზარე ლეჟავას დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სამტრედიობის დღესასწაულთან მიძღვნილი კვირეული, ჩართულობა მუნიციპალურ ღონისძიებებში და ღია კარის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435911განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ *სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის* N62-622518566 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ეროსი მანჯგალაძის **სახელობის კულტურის ცენტრი’’-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კულტურის ცენტრის ვაჟთა მგალობელ-მომღერალთა ჯგუფი მიწვეული იყო ფესტივალზე გერმანიის რესპუბლიკაში, რომლებმაც წარადგინეს სამტრედიის მუნიციპალიტეტი. აქედან გამომდინარე, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ბიუჯეტის სუბსიდიის გეგმის მობილიზებით, გაშვებული იქნა აღნიშნული ანსამბლი გასტროლზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის სუბსიდიის გეგმის საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 27.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის N62-622518569 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**საცხენოსნო სპორტული კლუბი’’-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2025 წლის

დამტკიცებული სუბსიდიის გეგმა იზრდება 3.0 ათ.ლარით. კერძოდ არაფინანსური აქტივების მუხლში, არასაცხოვრებელი შენობების მიმდინარე შეკეთების ხარჯი იზრდება 3,0 ათ. ლარით (თავლების ირგვლივ ბეტონის საფარის მოსაწყობად).

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის

Nგ-63.632435921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის*** N62-622518561 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ ,,**საზოგადოებრივი ჯანდაცვის** სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მიზნობრივი ტრანსფერის გეგმაში, საქონელი და მომსახურეობის გეგმა მცირდება 2.6 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების გეგმა იზრდება 2.6 ათ.ლარით. (კონდეციონერების მონტაჟის ხარჯი). ასევე, საკუთარი სახსრების გეგმაში, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 1.45 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 1.45 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N g-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის*** N62-622518519 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“,

შესატან ცვლილებებს. იზრდება სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯები - 66500 ლარით . კერძოდ:

მუხლი 3. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 30 000 ლარით; (გაიზარდა მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ კვლევას და სტაციონალურ მკურნალობას).

მუხლი 21. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 20 000 ლარით; (გაიზარდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რაოდენობა).

მუხლი 28. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული და უსახლკარო მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 16 500 ლარით; (სახლის მშენებლობის პროექტი შეიცვალა და შეიცვალა ფასები).

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის N g-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Ng-63.63243592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის*** N62-622518570 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**კომუნალური გაერთიანება''-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, ბიუჯეტი შემცირდება 50.0 ათ.ლარით და ნაცვლად 2775.4 ლარისა განისაზღვრა 2725.4 ათ.ლარით. კერძოდ,

1. საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლი მცირდება 50.0 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია გასანათებელი მოწყობილობების შესყიდვასთან დაკავშირებით მომწოდებლის მიერ ელექტრონულ ტენდერში ფასის დაკლების გამო.

2. შრომის ანაზღაურების ხარჯის მუხლი მცირდება 3.0 ათ.ლარით, შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 3.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი,

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024

წლის 24 დეკემბრის Nგ-63.63243592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2025 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632435915 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის*** N62-622518567 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება **შპს „სამტრედიის მაცნე“-ს** 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. რედაქციას ესაჭიროება არქივის, დამხმარე და სამუშაო ოთახის სარემონტო სამუშაოები, ასევე საოფისე ინვენტარი, რისთვისაც საჭიროა 20.0 ათ.ლარი. შპს „სამტრედიის მაცნე“-ს რედაქცია ითხოვს, 2025 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას. საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 20.0 ათ.ლარით. აქედან, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული ხარჯის მუხლში 8.0 ათ.ლარით, ოთახების სარემონტო სამუშაოებისათვის და საოფისე ინვენტარის შესაძენად 12.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2025 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632435915 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში შეტანილი 2025 წლის 19 ივნისის №1004 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოყოფილი თანხის ოდენობა 600 000 (ექვსასი ათასი) ლარით განესაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–პუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69–ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ62. 62251757 24/06/2025 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილება, კერძოდ: გაიზარდა (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 600 000 ლარით.

აღნიშნული მივიღოთ ცნობად.

6 თვის გეგმა ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე, შემცირდეს სულ - 634.5 ათასი ლარით :

- (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 17.0 ათასი ლარით;

- (02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 30.0 ათასი ლარით;

- (03 04 კოდი) კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 70.0 ათასი ლარით;

- (04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 60.0 ათასი ლარით;

- (05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 220.0 ათასი ლარით;

- (01 01 01 კოდი) სამტრედიის საკრებულოს შრომის ანაზღაურების გეგმა - 80.0 ათასი ლარით;

- (01 02 01 კოდი) სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა - 20.0 ათასი ლარით;

- (01 02 04 კოდი) კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის საქონელი და მომსახურების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;

- (01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 50.0 ათასი ლარით;

- (02 02 02 კოდი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების გეგმა - 10.0 ათასი ლარით;

- (01 02 03) მუნიციპალური განვითარების ფონდი - 17,5 ათასი ლარი;

- (03 01 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების სუბსიდიის გეგმა - 50.0 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს სულ - 634.5 ათასი ლარით :

- (02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 410.0 ათასი ლარით;

- (05 01 02 01 კოდი) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 3.0 ათასი ლარით;

- (05 03 კოდი) შპს „სამტრედიის მაცნე“-ს სუბსიდიის გეგმა - 20.0 ათასი ლარით;

- (05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის სხვა ხარჯები - 20,0 ათასი ლარი.

- (05 05 02 კოდი) კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მიმსახურეობის გეგმა - 33.0 ათასი ლარით;

- (05 02 02 კოდი)ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სუბსიდიის გეგმა - 27.0 ათასი ლარი;

- (04 03 კოდი) ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდიის გეგმა - 20.0 ათასი ლარი;

- (06 02 07 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების სხვა ხარჯების გეგმა - 16.5 ათასი

ლარი;

- (06 01 02 კოდი) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეზოს მოწყობა -35,0 ათასი ლარი;

- (06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 50.0 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- (06 01 01 კოდი) ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 2.6 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- (02 02 03 კოდი) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 51.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 19.5 ათასი ლარით, ხოლო 02 01 კოდი)გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 31.5 ათასი ლარით;

- (05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 1.4 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი,

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 4 ივლისის*** N62-622517742 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის წესის** დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი’’-ს 28-ე მუხლში დაემატება მე-2 პუნქტი,ვალდებულება, რომ მესაკუთრე ვალდებულია 15 წლის განმავლობაში არ განკარგოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აშენებული მცირე ფართიანი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განხორციელდა სახლის მშენებლობა, რაზედაც პროექტის განხორციელების დაწყებამდე გაფორმდება ურთიერთშეთანხმების აქტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიიდან წარმოდგენილ პროექტში მითითებული იყო მესაკუთრის ვალდებულებად 10 წელი, რომელიც კომისიისა და ბიუროს გადაწყვეტილებით შეიცვალა და განისაზღვა 15 წელი.

საკითხი განიხილა, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ტარიელ ცომაიამ.

ტარიელ ცომაია - ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, საჯარო რეესტრის ამონაწერში თუ იქნება ასახული ის შეზღუდვები, რაც დადგენილებით არის გათვალისწინებული.

ნიკოლოზ სანაძემ უპასუხა - რადგან უძრავ ქონებაზე იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ საჯარო რეესტრში მოხდება მისი რეგისტრაცია. შესაბამისად, ამონაწერში მითითებული იქნება, როგორც მესაკუთრის უფლებები, ისე შესაბამის შეზღუდვის გრაფაში აისახება განკარგვის აკრძალვა. ეს ეხება, როგორც საცხოვრებელ სახლს, ასევე მთელ უძრავ ქონებას, მიწას და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განხორციელდა ცვლილებები კანონში ,,გენდერული თანასწორობის შესახებ''. კანონის სათაურში და ტექსტში ტერმინი „გენდერული თანასწორობა" იცვლება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობით". გარდა ამისა, კანონიდან ხდება იმ ნორმის ამოღება, რომელშიც მოცემულია ტერმინ „გენდერის" განმარტება. ცვლილების შესაბამისად, უქმდება მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის ვალდებულება. კანონის მე-13[1] მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

საკითხი განიხილა, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 8. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში

ა) შეიმუშავებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე მიმართულ სპეციალური პროგრამებისა და ღონისძიებების პროექტებს;

ბ) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისკენ, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისაკენ მიმართულ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ჩართვის შესახებ შეიმუშავებს წინადადებებს;

გ) ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტებზე ექსპერტიზას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) ამზადებს წინადადებებს საკრებულოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების შესახებ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხების უზრუნველყოფის მიზნით;

ე) საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის პროცესში ,,ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ'', საქართველოს კანონის განხორციელების მიზნით ასრულებს სხვა ქმედებებს;

ვ) ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის სხვა დავალებებს.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი

დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, დადგენილებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1. რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა, საბჭოს დებულების დამტკიცება, საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა;“

2. რეგლამენტის XIX თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო''

3. რეგლამენტის 148-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„148. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულო ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს.

2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, დადგენილების დანართი N1-ში შეიცვალა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში და განისაზღვრა, როგორც მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, გახკარგულების პროექტი, ,,2025 წელს

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №g-63.63251058 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით მელაურის, დაბა კულაშის, ღანირის და ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ითხოვენ, გარკვეული კორექტირებების შეტანას. კერძოდ,

1. მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის წარმომადგენლის 2025 წლის 20 მაისის №01-6225140124 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, მელაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მიწაბოგირაზე პრიორიტეტად შერჩეული ,,სკვერისთვის მასალების შეძენის" ნაცვლად (ტექნიკური სირთულეების გამო) საჭიროა იგივე თანხით სამუშაოს შეძენა (ხარჯთაღრიცხვა - მასალებისა და შესაბამისი შრომის დანახარჯების გათვალისწინებით).

2. დაბა კულაშში, მერის წარმომადგენლის 2025 წლის 20 მაისის №01-6225140113 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, დაბა კულაშში მშვიდობისა და ბაგურის ქუჩების კვეთაზე ხიდბოგირის მოსაწყობად ნაცვლად 4500 ლარისა, საჭიროა 7000 ლარის სამუშაოების შესრულება, რაც შესაძლებელია დაბა კულაშში ამბულატორიის სარეაბილიტაციო თანხის 8000 ლარამდე შემცირებით.

3. ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის წარმომადგენლის 2025 წლის 04 ივნისის №01-622515526 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭაგანში, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე ნაცვლად 10000 ლარისა, საკმარისია 8500 ლარი, (მათ შორის 8292 ლარი სამუშაოების ღირებულება, ხოლო 208 ლარი საპროექტო სამუშაოების ღირებულება), ხოლო გამოთავისუფლებული თანხა მიმართული იქნას სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების გაზრდაზე, რაც ჯამში იქნება 7500 ლარი (მათ შორის, 7317 ლარი სამუშაოების ღირებულება ხოლო 183 ლარი საპროექტო სამუშაოების ღირებულება).

4. სოფელ ბაშში, მერის წარმომადგენლის 2025 წლის 05 ივნისის №01-6225156101 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, სოფელ ბაშის ამბულატორიის შენობის ფასადის და ოთახების რეაბილიტაციაზე განსაზღვრული 14400 ლარი უნდა შემცირდეს 3000 ლარით და დარჩენილ 11400 ლარიდან 11122 ლარი უნდა მოხმარდეს უშუალოდ სამუშაოების შესრულებას, ხოლო 278 ლარი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას. გამოთავისუფლებული 3000 ლარი უნდა მოხმარდეს საბავშვო ბაღის ოთახების რეაბილიტაციას (მათ შორის, 2927 ლარი უშუალოდ სამუშაოების ღირებულება, ხოლო 73 ლარი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას).

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №g-63.63251058 განკარგულებაში.

- 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები (დანართი №1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის ღირებულება (ლარი)	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი)
1	**სოფელი ბაში**	**ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია**	**11 400**	**0**	**11 122**	**278**
2	**სოფელი ბაში**	**სკვერის შემოღობვა**	**5 600**	**0**	**5 463**	**137**
3	**სოფელი ბაში**	**საბავშვო ბაღის ოთახების რეაბილიტაცია**	**3 000**	**0**	**2 927**	**73**
4	სოფელი იანეთი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
5	სოფელი იანეთი	სანიაღვრე არხისთვის 18 მეტრი პოლიეთილენის 500 მმ დიამეტრის გოფრირებული მილის შეძენა	1 500	0	1 500	0
6	სოფელი იანეთი	გარე განათების მოწყობა	6 500	0	6 341	159
7	სოფელი დიდი ჯიხაიში	რეკრეაციული და სპორტული სივრცის შემოღობვა	20 000	0	19 512	488
8	სოფელი ჯიქთუბანი	გზების მოხრეშვა	9 300	0	9 073	227
9	სოფელი ჯიქთუბანი	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია	2 000	0	1 951	49
10	სოფელი ჯიქთუბანი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	700	0	683	17
11	სოფელი პატარა ეწერი	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	10 000	0	9 756	244
12	სოფელი პატარა ეწერი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	2 000	0	1 951	49
13	სოფელი კეჭინარი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
14	სოფელი ოჭოფა	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	1 500	0	1 463	37
15	სოფელი ოჭოფა	სკვერის კეთილმოწყობა	8 500	0	8 293	207
16	სოფელი გვიმრალა	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	2 500	0	2 439	61
17	სოფელი გვიმრალა	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	8 900	0	8 683	217
18	სოფელი გვიმრალა	ბაღთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	600	0	585	15
19	სოფელი ახალსოფელი	სპორტული ტრენაჟორებისა და განათების მოწყობა	13 000	0	12 683	317
20	სოფელი ახალსოფელი	ე.წ. ტუტამიწის უბანში ბოგირის მოწყობა	3 000	0	2 927	73
21	სოფელი მელაური	საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა	12 000	0	11 707	293
22	**სოფელი მიწაბოგირა**	**სკვერის მოწყობა**	**9 000**	**0**	**8 780**	**220**
	სოფელი	ორი არსებული გზისპირა				

23	მიწაბოგირა	მოსაცდელის რეაბილიტაცია	3 000	0	2 927	73
24	სოფელი მიწაბოგირა	არსებული სტადიონის რეაბილიტაცია	4 000	0	3 902	98
25	სოფელი ხიბლარი	სანიაღვრე არხის გაჭრა და მილ-ბოგირის მოწყობა	5 000	0	4 878	122
26	სოფელი ხიბლარი	სკვერების კეთილმოწყობა	11 000	0	10 732	268
27	დაბა კულაში	საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა	5 000	0	5 000	0
28	**დაბა კულაში**	**ამბულატორიის შენობის კეთილმოწყობა**	**8 000**	**0**	**7 804**	**196**
29	**დაბა კულაში**	**მშვიდობისა და ბაგაურის ქუჩებზე ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია**	**7 000**	**0**	**6 830**	**170**
30	სოფელი ღანირი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	15 000	0	14 634	366
31	სოფელი ღანირი	გარე განათების მოწყობა	5 000	0	4 878	122
32	**სოფელი ჭაგანი**	**სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია**	**8 500**	**0**	**8 292**	**208**
33	**სოფელი ჭაგანი**	**სკვერის კეთილმოწყობა**	**7 500**	**0**	**7 317**	**183**
34	სოფელი ჩხენიში	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 400	0	6 244	156
35	სოფელი ჩხენიში	ნაპირსამაგრის მოწყობა	6 000	0	5 854	146
36	სოფელი ჩხენიში	გარე განათების მოწყობა	3 600	0	3 512	88
37	სოფელი ნაბაკევი	ე.წ. ჯვარცმის მინდვრის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
38	სოფელი ნაბაკევი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
39	სოფელი ხუნჯულაური	სოფელ ხუნჯულაურის მე-3 ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
40	სოფელი ნინუაკუთხე	ე.წ. ჯვარცმის მინდვრის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
41	სოფელი ნინუაკუთხე	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
42	სოფელი კვირიკე	კვირიკეს სასაფლაოს არსებული ღობის რეაბილიტაცია	10 800	0	10 536	264
43	სოფელი კვირიკე	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	1 200	0	1 170	30
44	სოფელი დაბლა ეწერი	ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	9 000	0	8 780	220
45	სოფელი დაბლა ეწერი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
46	სოფელი ზედა ეწერი	სანიაღვრე არხის მოწყობა	3 600	0	3 512	88
47	სოფელი ზედა ეწერი	ხიდის მოაჯირის მოწყობა	2 300	0	2 244	56
48	სოფელი ზედა ეწერი	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	2 000	0	2 000	0
49	სოფელი ზედა ეწერი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
	სოფელი ზედა	სოფელ მთისძირში, საყანე				

50	ეწერი	ფართობებთან მისასვლელ გზაზე ბეტონის არმირებული კიუვეტების მოწყობა	3 100	0	3 024	76
51	სოფელი კორმაღალი	გზის მოხრეშვა, ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	8 480	0	8 273	207
52	სოფელი კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
53	სოფელი კორმაღალი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
54	სოფელი კორმაღალი	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	1 520	0	1 520	0
55	სოფელი დობირო	ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	8 100	0	7 902	198
56	სოფელი დობირო	გარე განათების მოწყობა	1 100	0	1 073	27
57	სოფელი დობირო	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	800	0	780	20
58	სოფელი დაბლა გომი	დაბლა გომში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	13 500	0	13 171	329
59	სოფელი დაბლა გომი	წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	2 500	0	2 500	0
60	სოფელი კეთილაური	მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	9 000	0	8 780	220
61	სოფელი კეთილაური	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
62	სოფელი ცივწყალა	სასმელი წყლის მაგისტრალის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა	1 850	0	1 850	0
63	სოფელი ცივწყალა	გზის სავალი ნაწილის მოხრეშვა, არხებისა და ცხაურების მოწყობა	7 150	0	6 976	174
64	სოფელი ცივწყალა	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
65	სოფელი მთისძირი	საბავშვო სკვერის შემოღობვა	7 500	0	7 317	183
66	სოფელი მთისძირი	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
67	სოფელი მთისძირი	დაბლა გომში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	7 500	0	7 317	183
68	სოფელი დაფნარი	სანიაღვრე არხის გაჭრა, ბეტონის კიუვეტების და მილ-ბოგირების მოწყობა	13 100	0	12 780	320
69	სოფელი დაფნარი	სასაფლაოს შესაღობად მასალების შეძენა	2 900	0	2 900	0
70	სოფელი გომმუხაყრუა	ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	10 300	0	10 049	251
71	სოფელი გომმუხაყრუა	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა	1 700	0	1 700	0

72	სოფელი გომნატეხები	400 მმ დიამეტრის მილებით სანიაღვრე არხის მოწყობა	8 000	0	7 805	195
73	სოფელი გომნატეხები	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	550	0	550	0
74	სოფელი გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
75	სოფელი გომნატეხები	გზის მოხრეშვა	2 450	0	2 390	60
76	სოფელი პირველი ნიგორზღვა	გზის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
77	სოფელი მეორე ნიგორზღვა	სკვერის მოწყობა	10 000	0	9 756	244
78	სოფელი ჭოგნარი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
79	სოფელი საჯავახო	სკვერის მოწყობა	16 000	0	15 610	390
80	სოფელი ქვემო ნოღა	ბეტონის გზის დაგება	12 000	0	11 707	293
81	სოფელი ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	0	11 707	293
82	სოფელი ბუღნარა	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
83	სოფელი ბუღნარა	გარე განათების მოწყობა	6 000	0	5 854	146
84	სოფელი ქორეისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
85	სოფელი ვაზისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	16 000	0	15 610	390
86	სოფელი ტოლები	ბეტონის გზის დაგება სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე	10 000	0	9 756	244
87	სოფელი ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
88	სოფელი თხილაგანი	გზის რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
89	სოფელი წიაღუბანი	სასაფლაოს შემოღობვა	10 000	0	9 756	244
90	სოფელი მტერჩვეული	სასაფლაოს შემოღობვა	10 000	0	9 756	244
91	სოფელი ნაწილი ოფეთი	სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
92	სოფელი პატარა ოფეთი	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
93	სოფელი დიდი ოფეთი	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
94	სოფელი გორმაღალი	ქვაყუდის უბანში სკვერის შემოღობვა	8 000	0	7 805	195
95	სოფელი გორმაღალი	მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	8 000	0	7 805	195
96	სოფელი გამოჩინებული	სანიაღვრე არხების მოწყობა	10 000	0	9 756	244
			660 000	**0**	**644 373**	**15 627**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №g-63.63251058 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საჯავახოს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს Ng-63.63232194 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა მოქალაქე ნანა სანიკიძის № 73224/17 და № 105226/17 განცხადებები. დაინტერესებული პირის მიერ მითითებული ინფორმაციით, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: №34.11.44.169) მიმდებარედ არსებული სახელდებული გეოგრაფიული ობიექტის - „სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი საჯავახო, 1- ელი ქუჩის IV ჩიხის" მოხაზულობა (ჩიხის გავრცელების არეალი) არ შეესაბამება მის ფაქტობრივ მდგომარეობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ მერის წარმომადგენელთან ერთად, ადგილზე გასვლით მოახდინა საკითხის შესწავლა და გადამოწმება. მიემართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თხოვნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის 1-ლი ქუჩის მე-4 ჩიხის კორექტირებული სიტუაციური რუკის მომზადებასთან დაკავშირებით.

საჯარო რეესტრიდან მივიღეთ პასუხი, რომლითაც დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნა. მოგვაწოდეს არსებული გზის კორექტირებისათვის საჭირო სიტუაციური რუკა გეოგრაფიული ობიექტის მითითებით (გავრცელების ხაზი, კოორდინატები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს № g-63. 63232194 განკარგულებაში.

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ მოამზადა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საჯავახოს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს Ng-63.63232194 განკარგულებაში.**

- **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საჯავახოს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს Ng-63.63232194 განკარგულების დანართი N1-ის მე-6 ქვეპუნქტის, სოფელ საჯავახოს 1-ლი ქუჩის IV ჩიხის პარამეტრები (გავრცელების ხაზი და კოორდინატები) განისაზღვროს თანდართული სიტუაციური რუკის შესაბამისად.**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით), დამტკიცდა განკარგულება,

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საჯავახოს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს Nგ-63.63232194 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი